



## **ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი**

**მიზანი 4.5**

## **მიზანი 4.5. პენიტენციური სისტემის მართვა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით**

მიზნის შესრულების პროგრესი: 50.3191%

პენიტენციური სისტემის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით მართვა უმნიშვნელოვანესი მიზანია, რომელიც პრაქტიკულად ყველა სხვა მიმართულებას მოიცავს. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემა, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ეფექტიანი ღონისძიებები, პატიმრების, თანამშრომლების თუ მესამე პირების უსაფრთხოების სათანადო დაცვა წარმოუდგენელია სისტემაში, რომლის მმართველობა არ არის დაფუძნებული ადამიანის უფლებებზე.

ამგვარი მართვის ერთადერთი გზა ადეკვატური რაოდენობის პროფესიონალი თანამშრომლების არსებობაა, რომლებიც იცნობენ და იცავენ დინამიკური უსაფრთხოების პრინციპებს - რეგულარული, კეთილგანწყობილი ურთიერთობა აქვთ პატიმრებთან კანონით დადგენილ ფარგლებში, სთავაზობენ, ხელს უწყობენ და ახალისებენ პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ღონისძიებებში მონაწილეობას, იცნობენ ამ უკანასკნელთა პრობლემებსა და საჭიროებებს და ეძებენ მათი მოგვარების გზებს.

იმ პირობებში, როდესაც სისტემაში მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ღონისძიებები მინიმალურია, არსებობს ძლიერი კრიმინალური სუბკულტურა და არაფორმალური მმართველობის შორსნასული ფორმები, რომლებიც განაპირობებს პატიმართა შორის ძალადობის ესკალაციას, ხდება დისციპლინური ზომების არაერთგვაროვანი და არაადეკვატური გამოყენება და სხვა მრავალი, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით სისტემის მართვაზე საუბარი ძნელია.

უდაოდ მისასალმებელია პირველი ნაბიჯები, რაც გასულ წლებში ამ მიმართულებით გადაიდგა - რისკებისა და საჭიროებების განსაზღვრის მექანიზმის შექმნა, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის დანერგვა. დადებითად აღსანიშნავია ის ძალისხმევა, რაც ამ მექანიზმების სრულყოფისთვის მიმდინარეობს და რაშიც, საქართველოს პენიტენციური სისტემის მესვეურებს აქტიურ დახმარებას უწევს ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტი EU4Justice. იმედს ვიტოვებთ, რომ პრაქტიკაში, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მიმდინარე რეფორმა უახლოეს მომავალში ხილულ შედეგს გამოიღებს.

### **ამოცანა 4.5.1. მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის, შემთხვევის მართვის, რისკებისა და საჭიროებების შეფასების გზით სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის, რეკლასიფიკაციისა და გარდამავალი მენეჯმენტის (გათავისუფლების მზადების პროცესი და რეფერალის მექანიზმი) მეთოდოლოგიის სრულყოფა**

ამოცანის შესრულების პროგრესი: 30%

ინდიკატორი: ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი განსაზღვრულია და განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში;

ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილია ცვლილებები რომელიც ეფუძნება კლასიფიკაციის/საშიშროების შეფასების ინსტრუმენტი ობიექტურ, ქულათა დაჯამების სისტემას;

შეფასებულია პილოტირების შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებულია იმპლემენტაციის პროცესში;

შეფასება:

საანგარიშო პერიოდში მოქმედი რისკის შეფასების სისტემა კვლავ არადაამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული როგორც ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT), ისე საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ. პრობლემები და გამოწვევები კვლავ უცვლელია - პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურს კვლავ გადამწყვეტი სიტყვა აქვს რისკის განსაზღვრის პროცედურაში, ხოლო ფსიქოლოგებისა და სოცმუშაკების მონაწილეობა, CPT-ის შეფასებით, კვლავ ნომინალურია. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, პრობლემურია რისკების შეფასების შედეგად დახურულ დაწესებულებებში გადაყვანილთა რაოდენობა იმის გათვალისწინებით, რომ სისტემას არ გააჩნია რისკის შემცირების ხელშემწყობი პირობები, მსჯავრდებულებს არ აქვთ ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობისა და შეფასების კრიტერიუმების თაობაზე, რაც შეუძლებელს ხდის სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენებას.

რაც შეეხება რისკებისა და საჭიროებების შეფასებას და მათზე დაყრდნობით მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას, აღნიშნული მექანიზმის შემოღება, თავისთავად, წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა როგორც წამების პრევენციის კომიტეტის, ისე სახალხო დამცველის შეფასებით, მისი პრაქტიკაში გამოყენება ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზებით ხდება - კვლავ არ არის უზრუნველყოფილი მსჯავრდებულის ჩართვა აღნიშნულ პროცესში, რაც თავისთავად მიაწინებს, რომ განსაზღვრული რისკები და საჭიროებები ნაკლებად უპასუხებს კონკრეტული მსჯავრდებულის მოთხოვნილებებს, ასევე, ინდივიდუალური გეგმები ამ ეტაპზე ძირითადად ქალი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის არსებობს, ხოლო მამაკაც მსჯავრდებულთათვის მათი შედგენა მომავალში არის დაგეგმილი.

დადებითად აღსანიშნავია ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის - EU4Justice აქტიური ჩართულობა რისკებისა და საჭიროებების განახლებული მექანიზმის შემუშავებაში.

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის N502 ბრძანებით, დამტკიცდა სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესი (შემთხვევის მართვის წესი), რომელიც საკმაოდ დეტალურია და პრაქტიკაში ადეკვატური დანერგვის შემთხვევაში შესაძლოა, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდეს მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიდგომების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

**აქტივობა 4.5.1.1. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ რისკის შეფასება და მსჯავრდებულთა შესაბამის დაწესებულებაში განთავსების შესახებ საკითხის პერიოდული გადახედვა,**

# სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით მსჯავრდებულთა სრული პოპულაციის დასაფარად

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი განსაზღვრულია და განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში;

ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილია ცვლილებები რომელიც ეფუძნება კლასიფიკაციის/საშიშროების შეფასების ინსტრუმენტი ობიექტურ, ქულათა დაჯამების სისტემას;

შეფასებულია პილოტირების შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებულია იმპლემენტაციის პროცესში;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით „2019 წლის 8 მაისს, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა დაამტკიცა №395 ბრძანება „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის შეფასება/გადაფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს. აღნიშნული ბრძანების დამტკიცების შემდგომ მიმდინარეობდა მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფისა და მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის ფორმირების პროცედურები, რომლებიც დასრულდა 2019 წლის 22 მაისს, რის შემდგომაც განახლდა და უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მსჯავრდებულთა მიმართ საშიშროების რისკების შეფასებისა და გადაფასების პროცესი. 2019 წლის განმავლობაში საშიშროების რისკი შეუფასდა 2530 მსჯავრდებულს (პირველადი შეფასება). აქედან 149 მსჯავრდებულს დაუდგინდა - დაბალი რისკის სახე, 2096 მსჯავრდებულს - საშუალო რისკის სახე, 257 მსჯავრდებულს - მომეტებული რისკის სახე და 28 მსჯავრდებულს - მაღალი რისკის სახე; თითოეული მსჯავრდებული, რომელთაც შეუფასდა საშიშროების რისკი, განთავსდა რისკის შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.<sup>[1]</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი, 2018 წლის ანგარიშში, პენიტენციური სისტემის მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევს მსჯავრდებულთა რისკების შეფასების სისტემას. „პრობლემურია მსჯავრდებულთა რისკების გადაფასებისა და

ნახევრად ღია დაწესებულებიდან დახურულ დაწესებულებაში გადაყვანის პრაქტიკა; რისკების შეფასების პროცესში მსჯავრდებულთა სამართლებრივი დაცვის გარანტიებისა და პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა რისკების შემცირების ხელშეწყობი მიდგომის არარსებობა. რისკების შეფასების პროცესში მსჯავრდებულთა სამართლებრივი დაცვის გარანტიების კონტექსტში პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობა პენიტენციურ დაწესებულებებს არ ავალდებულებს, დაწესებულებაში მოთავსებისას მოახდინონ პატიმრის რისკების შეფასების სისტემის შესახებ ინფორმირება. გარდა ამისა, მსჯავრდებულების ინფორმირებულობა იმის შესახებ, თუ კონკრეტულად როგორი ქცევა და რა ქმედებები აისახება დადებითად ან უარყოფითად რისკის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებაზე.<sup>[1]</sup>

ამავე პრობლემებზე საუბრობს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი 2019 წლის ანგარიშში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ გაცემული ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა მსჯავრდებულთა რისკების შეფასებასა და კლასიფიკაციას. კერძოდ, სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით რისკების შეფასების წესში შემდეგი ცვლილებების შეტანა იქნა მიზანშეწონილი: პენიტენციური დაწესებულებების მხრიდან, რისკების შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ, მსჯავრდებულთა ინფორმირების ვალდებულების განსაზღვრა, დაწესებულებაში შესახლებისას და უშუალოდ რისკის შეფასების პროცესის დაწყებისას; მსჯავრდებულის უფლების განსაზღვრა, რისკის შეფასების პროცესში წარადგინოს საკუთარი პოზიცია და მოსაზრება იმ გარემოებებზე, რომელთა საფუძველზეც ხდება მათი რისკების განსაზღვრა. ასევე, საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულების რისკის გადაფასების ვალდებულების განსაზღვრას არანაკლებ 6 თვეში ერთხელ. აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ და ასახულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში. გაცემული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი ასევე ეხმაურება მაღალი რისკის მსჯავრდებულთათვის განსაზღვრული რეჟიმის არაადეკვატურ სიმკაცრეს, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მომავალში რისკის შემცირებას და შესაბამისად, ნეგატიურად აისახება მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე და რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, რომ „სასწრაფოდ გადაიხედოს „მაღალი რისკის“ კონცეფცია და მიდგომები, იმისათვის, რომ ნებისმიერი შეზღუდვა (ურთიერთობები, პირადულობა და გარესამყაროსთან კონტაქტი) დაწესდება პატიმრის მიმართ მხოლოდ უტყუარი და ხშირად გადახედილი (სულ მცირე ყოველ 6 თვეში) ინდივიდუალური რისკისა და საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით“.<sup>[2]</sup>

---

<sup>[1]</sup> ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში, გვ.59-60

<sup>[2]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ. 51

<sup>[3]</sup> წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 48

## აქტივობა 4.5.1.2. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ საშიშროების რისკის შეფასება და მსჯავრდებულთა შესაბამის დაწესებულებაში განთავსების შესახებ საკითხის პერიოდული გადახედვა

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი განსაზღვრულია და განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში;

ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილია ცვლილებები რომელიც ეფუძნება კლასიფიკაციის/საშიშროების შეფასების ინსტრუმენტი ობიექტურ, ქულათა დაჯამების სისტემას;

შეფასებულია პილოტირების შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებულია იმპლემენტაციის პროცესში;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

საშიშროების რისკის შეფასების სისტემა საანგარიშო პერიოდში არ გადახედილა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N395 ბრძანებით დამტკიცდა „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის, გადაყვანის პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესი“. თუმცა აღნიშნული რედაქცია კვლავ არ გვთავაზობს ახალ მიდგომებს მსჯავრდებულთა რისკის შეფასების თვალსაზრისით. ის პრობლემები, რაც საანგარიშო პერიოდში არსებობდა (იხ. საქმიანობა 4.5.1.1-ის შესრულების შეფასება), ახალი ბრძანების ამოქმედებით ვერ მოგვარდება.

## აქტივობა 4.5.1.3. N16, N5 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში შემთხვევის მართვის თანამედროვე მეთოდით მუშაობა და რისკებისა და საჭიროებების

# შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება და დანერგვა

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი განსაზღვრულია და განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში;

ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილია ცვლილებები რომელიც ეფუძნება კლასიფიკაციის/საშიშროების შეფასების ინსტრუმენტი ობიექტურ, ქულათა დაჯამების სისტემას;

შეფასებულია პილოტირების შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებულია იმპლემენტაციის პროცესში;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი, 2018 წლის ვიზიტის ანგარიშში, პოზიტიურ სამართლებრივ განვითარებად მიიჩნევს რისკების ინდივიდუალურად შეფასების (ყველა პატიმრისთვის) და სასჯელის ინდივიდუალური გეგმის (მისტილი პატიმრებისთვის) დანერგვას სასჯელაღსრულების სისტემაში; თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ: „სამწუხაროდ, ორივე ინსტრუმენტი შორს დგას (სათანადოდ) პრაქტიკაში განხორციელებისგან. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა პატიმარს ჩაუტარდა რისკის პირველადი შეფასება, დაწესებულებების ვიზიტის შედეგად ნათელი იყო, რომ არცერთმა პატიმარმა არ იცოდა ამის შესახებ და არანაირი გზით არ ყოფილან ამ პროცესში ჩართულნი (არ გამართულა სხდომა/მოსმენა, პატიმრებს არ მიუღიათ წერილობით ინფორმაცია რისკის შეფასების შედეგების და გასაჩივრების პროცედურების თაობაზე). მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ პროცედურა ითვალისწინებს მულტი-დისციპლინური ჯგუფის (ოპერატიული, უსაფრთხოება, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური) ჩართულობას, პრაქტიკაში მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურს ენიჭება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, რომელიც ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფს სხვა პროფესიონალების დასკვნებს, და ვისი რეკომენდაციებიც, რომელიც საიდუმლოდ ითვლება (და ამ მიზეზით არ ხდება მათი გასაჯაროება შეფასების პროცესში მონაწილეებისთვის, ადვოკატების და პატიმრების ჩათვლით) უმეტესწილად უპირობოდ სრულდება ციხის ადმინისტრაციის მიერ. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ პროცედურა ფორმალურად მიმდინარეობს და სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის და ექიმების გუნდის მიერ განეული სამუშაო დროის ფუჭად ხარჯვაა. დელეგაციის მიერ გამოკითხული პატიმრების უდიდესი ნაწილისთვის არაფერი შეცვლილა რისკის შეფასების ახალი პროცედურის შედეგად (განსაკუთრებით მათთვის, რომლებსაც „მაღალი რისკის“ კლასიფიკაცია მიენიჭათ და ამის გამო განესაზღვრათ ძალიან მკაცრი რეჟიმი, რომელიც სამართლო საკანში მოთავსებას უტოლდება)<sup>11</sup>“.

რაც შეეხება სასჯელის ინდივიდუალურ გეგმას, კომიტეტი აღნიშნავს, რომ მისტილი



პატიმრების უმრავლესობისთვის ჯერ კიდევ არ იყო შედგენილი. თუმცა, ყველა ქალ და არასრულწლოვან მსჯავრდებულს ჰქონდა ინდივიდუალური გეგმა (N11 დაწესებულებაში პირადად გაეცნენ გეგმას და მართლაც დეტალურად და ინდივიდუალურად იყო განხილული). კომიტეტს ეცნობა, რომ მამაკაცი მსჯავრდებულებისთვისაც უახლოეს მომავალში შედგებოდა ინდივიდუალური გეგმები.

იქვე კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართონ მსჯავრდებულები, რათა თავადაც გაეცნონ გეგმებს და მაქიმალურად იქნას უზრუნველყოფილი მათი მონაწილეობა გეგმის განხორციელებაში და სოციალური რეაბილიტაციის პროცესში.

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice აქტიური მხარდაჭერით, ევროკავშირის მიერ მოწვეული ექსპერტის, დენი კლარკის მონაწილეობით, საანგარიშო პერიოდში განახლდა რისკებისა და საჭიროებების მეთოდოლოგია. თავდაპირველ სისტემაში არსებულ თვისობრივ მაჩვენებლს დაემატა რაოდენობრივი მაჩვენებლებიც და შეიქმნა ალგორითმი, რომლითაც იზომება რისკი თუ რამდენად შეიძლება პირმა ჩაიდინოს რეციდივი რამხელა ზიანი შეიძლება მოუტანოს საზოგადოებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემუშავების პროცესშია სპეციფიკური ინსტრუმენტი არასრულწლოვნებისთვის.

განახლებული მეთოდოლოგიის თანახმად, რისკებსა და საჭიროებებს აფასებს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც შედგება სოციალური მუშაკის და უსაფრთხოების თანამშრომლისგან და რომელშიც საჭიროებისამებრ ერთვება ფსიქოლოგი და ექიმი.

შექმნილია სკრინინგ ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც მსჯავრდებულის პირველი შემოსვლისას დაწესებულებაში სოციალური მუშაკი აკეთებს ზიანის რისკის შეფასებას (დაბალი, საშუალო, მაღალი რისკი). პარალელურად დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილება აფასებს სტატიკურ ასპექტებს (ჩადენილი დანაშაული, კრიმინალური წარსული, დაჯგუფებების წევრობა და ა.შ.). ამ ორი შეფასების შეჯერების შედეგად დგინდება მსჯავრდებულის რისკის ჯგუფი. მეთოდოლოგიის მიზანია, სისტემას მისცეს საშუალება, დაგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები განსაზღვრული რისკების პრევენციისთვის.

განახლებული მეთოდოლოგიით მუშაობაში საანგარიშო პერიოდში გადამზადდა N2, N5, N8, N11, N16, N17 დაწესებულებების მულტიდისციპლინური გუნდები.

ადამიანის უფლებათა სამდივნოს 2019 წლის ანგარიშის თანახმად, „2019 წლის სექტემბერში N5 და N16 დაწესებულებებში დაიწყო შემთხვევის მართვის და განახლებული შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა (პილოტირების შემდგომი ეტაპი). N17 პენიტენციურ დაწესებულებაში 2019 წლის ნოემბრის თვეში დაიწყო განახლებული რისკისა და საჭიროებების ინსტრუმენტის პილოტირება მსჯავრდებულებთან, რომელთაც კალენდარულ გათავისუფლებამდე დარჩენილი აქვთ არაუმეტეს 2 წელი და არანაკლებ 6 თვე. პილოტირების პროცესი ითვალისწინებს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოსთვის წარსადგენი მსჯავრდებულის დახასიათების განახლებული ფორმის ეფექტიანობის დადგენას.“

იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში განახლებული მეთოდოლოგია წარმატებით დაინერგება პირველ ეტაპზე საპილოტე, შემდგომ კი ყველა დაწესებულებაში, რაც დადებითად აისახება მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე.

---

<sup>[1]</sup> წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის



პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 72-73

## **ამოცანა 4.5.2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების მიმართულებით: საჩივრების მექანიზმთან, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით ეფექტური, მათ შორის, შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი მეთოდებით ინფორმაციის მიწოდების გზით**

ამოცანის შესრულების პროგრესი: 35%

ინდიკატორი: ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებებისა და მოვალეობების ამსახველი ბუკლეტები სხვადასხვა ენებზე ნათარგმნი, გამოცემული და ხელმისაწვდომია მსჯავრდებულ/ბრალდებულთათვის პენიტენციურ დაწესებულებებში;

შემცირებულია შესაბამისი საჩივრების რაოდენობა;

შეფასება:

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ინფორმაცია არ მოუწოდებია. აღნიშნულის შესახებ გარკვეული სახის მონაცემებს შეიცავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა, რომლის თანახმადაც, საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულებს ჩაუტარდა ტრენინგები პატიმართა უფლებების თემატიკაზე, ასევე, დამზადდა ტექსტური ვიდეორგოლები, რომლებიც ერთ-ერთ სატელევიზიო არხზეა ხელმისაწვდომი.

ადამიანის უფლებათა სამდივნოს გეგმის 2019 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, „ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის მხარდაჭერის პროექტის“ (EU4Justice) მხარდაჭერით მომზადდა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ განახლებული ბროშურები. ბროშურები ითარგმნება პენიტენციური დაწესებულებების პოპულაციის ენობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე.“<sup>[1]</sup>

ზემოაღნიშნული ღონისძიებები ერთმნიშვნელოვნად დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, სამწუხაროდ, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით უცნობია, კერძოდ, რომელ ენებზე მომზადდა და რამდენ მსჯავრდებულს გადაეცა აღნიშნული ბროშურები.

---

<sup>[1]</sup> ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში, გვ.61

### **აქტივობა 4.5.2.1. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა**

# უფლებების შესახებ საინფორმაციო ბროშურების და პლაკატების განახლება, დაბეჭდვა, დარიგება და თვალსაჩინო ადგილას განთავსება (აზერბაიჯანულ, სომხურ, თურქულ, რუსულ, ინგლისურ, არაბულ და სპარსულ ენებზე)

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასტელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებებისა და მოვალეობების ამსახველი ბუკლეტები სხვადასხვა ენებზე ნათარგმნი, გამოცემული და ხელმისაწვდომია მსჯავრდებულ/ბრალდებულებისათვის პენიტენციურ დაწესებულებებში;

შემცირებულია შესაბამისი საჩივრების რაოდენობა;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, პატიმართა უფლებების შესახებ განახლებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა ტექსტური ვიდეორგოლები, რომლებიც ხელმისაწვდომია ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე ყველა დაწესებულების ბრალდებულ/მსჯავრდებულებისათვის. მიუხედავად ნოვატორული მიდგომისა, ტექსტური ვიდეორგოლები ვერ ჩაითვლება საინფორმაციო ბროშურების და პლაკატების ჩამნაცვლებლად, გამომდინარე იქიდან, რომ მათზე ხელმისაწვდომობა გაცილებით შეზღუდულია. ამასთან, ტექსტური ვიდეორგოლები მხოლოდ ქართული ენის მცოდნე პატიმრებისთვის არის გასაგები.

ადამიანის უფლებათა სამდივნოს 2019 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის მხარდაჭერის პროექტის“ (EU4Justice) მხარდაჭერით მომზადდა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ განახლებული ბროშურები, რომლებიც ითარგმნება პენიტენციური დაწესებულებების პოპულაციის ენობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნული ფორმულირება გვაფიქრებინებს, რომ საანგარიშო პერიოდში განახლებული ბროშურების თარგმნა არ მომხდარა.

## აქტივობა 4.5.2.2. საგანმანათლებლო კონსულტაციების ან/და ჭკუფური შეხვედრების გამართვა

# ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის, მათ შორის, შშმ პირებისათვის, მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებებისა და მოვალეობების ამსახველი ბუკლეტები სხვადასხვა ენებზე ნათარგმნი, გამოცემული და ხელმისაწვდომია მსჯავრდებულ/ბრალდებულთათვის პენიტენციურ დაწესებულებებში;

შემცირებულია შესაბამისი საჩივრების რაოდენობა;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები  
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 40%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, საანგარიშო პერიოდში ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ტრენინგი 777-მა მსჯავრდებულმა გაიარა; მათ შორის, არასრულწლოვანმა ბრალდებულ/მსჯავრდებულებმა – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, ხოლო ქალმა მსჯავრდებულებმა – ბანგკოკის წესების გათვალისწინებით.

2019 წლის მონაცემებით კი, რომლებიც ადამიანის უფლებათა სამდივნოს 2019 წლის ანგარიშშია ასახული, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ გაიმართა ტრენინგები, რომლებშიც ჩართული იყო 323 მსჯავრდებული.<sup>14</sup>

<sup>14</sup> ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში, გვ.62

## ამოცანა 4.5.3. უცხოელ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 50%

ინდიკატორი: ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების/ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები

# აქტივობა 4.5.3.1. უცხოელ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მათთვის გასაგებ ენაზე განემართოთ, მათი უფლებები და მოვალეობები, ციხის რეჟიმის პირობები, იურიდიული კონსულტაციის და დახმარების უფლება

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების/ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი, 2018 წლის ანგარიშში, ენობრივი ბარიერის გამო უცხოელი პატიმრებისთვის სერვისებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას კვლავ პრობლემურ საკითხად განიხილავს<sup>[1]</sup>.

საქართველოს სახალხო დამცველის და ადამიანის უფლებათა ცენტრის 2018 წლის ანგარიშის - „ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში“ მიხედვით: მანდელას წესების შესაბამისად, დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ციხის კონტინგენტს შორის ხშირად გამოყენებულ ენებზე. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარს არ ესმის არც ერთი ამ ენათაგანი, უნდა მოხდეს თარჯიმნის მოსახურებით უზრუნველყოფა. აღნიშნული, აგრეთვე, გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას დაწესებულების შინაგანაწესის, პატიმრის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. მათ შორის, ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რაც დაეხმარება პატიმარს ციხის ცხოვრებასთან ადაპტაციაში. ზემოაღნიშნულ პრობლემებთან ერთად, უცხოელი პატიმრები მათთვის გასაგებ ენაზე სათანადოდ არ არიან ინფორმირებულები მათი უფლებების შესახებ<sup>[2]</sup>.

ენობრივი ბარიერის მწვავე პრობლემაზე საუბრობს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშიც: „დაწესებულებებში მწვავედ დგას ენობრივი ბარიერის პრობლემა, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებში, ასევე საქართველოს მოქალაქეთა ნაწილში. გამოკითხულ პირებს ჰქონდათ კომუნიკაციის დეფიციტი, მათი ემოციური მდგომარეობა ინტერვიუს დროს იყო ცვალებადი და რამდენიმემ იტირა კიდევ. პატიმრები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაეცნონ საკუთარ უფლებებს.“

მიუხედავად ამისა, მთავრობა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშში აცხადებს, რომ 2019 წლის განმავლობაშიც ყველა ბრალდებული/მსჯავრდებულის ინფორმირება მათი უფლებების შესახებ, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, ხორციელდება დაწესებულებაში შეყვანის დროს. საჭიროების

შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მსჯავრდებულების უზრუნველყოფა ხდება თარჯიმნის როგორც წერილობითი, ისე ზეპირი მომსახურებით.

<sup>[1]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ.50

<sup>[2]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის და “ადამიანის უფლებათა ცენტრის” ერთობლივი სპეციალური ანგარიში “ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში”, 2018 წელი, გვ.32

## **ამოცანა 4.5.4. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება**

**ამოცანის შესრულების პროგრესი: 0%**

ინდიკატორი: გასაჩივრებათა რაოდენობა შიდა მონიტორინგის ანგარიშების შესაბამისად

გასაჩივრების არსებულ მექანიზმებში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ პერიოდული ანალიზის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები

შეფასება:

გასაჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობა პენიტენციურ სისტემაში ერთ-ერთი იმ პრობლემურ საკითხთაგანია, რომლებიც წლებია, უცვლელი რჩება.

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის სპეციალური ანგარიშში „მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციური სისტემაში“ ასახულია ამ მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები:

- პატიმრების არაინფორმირებულობა მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებასა და განხილვის პროცედურებთან დაკავშირებით;
- საჩივრის კონფიდენციალურობის დარღვევა, რაც არა მხოლოდ გასაჩივრების მექანიზმის ეფექტიანობას ამცირებს, არამედ საჩივრის ავტორის ფიზიკურ უსაფრთხოებასაც კი ემუქრება - კონფიდენციალური საჩივრის ავტორებს საკანში ეცნობებათ რეგისტრაციის ნომერი, რაც ამგვარი საჩივრების ავტორების იდენტიფიცირებას ახდენს; ყოფილა შემთხვევა, როდესაც კონფიდენციალური საჩივარი გადაგზავნილია იმ პირს, ვისაც ის ეხებოდა; რიგ დაწესებულებებში საჩივრის ყუთები ვიდეოკამერების თვალთახედვის არეშია განლაგებული; კონფიდენციალური საჩივრის ფორმის მოთხოვნისას თანამშრომელი ინიშნავს კონვერტის ნომერს და პატიმრის სახელს და გვარს და ა.შ.
- თვითცენზურა - საჩივრისგან თავის შეკავება ადმინისტრაციისგან ან სხვა პატიმრებისგან ზეწოლის და ზოგადად, მდგომარეობის გაუარესების შიშით;
- გენინსპექციისთვის საჩივრის განხილვის ვადების არარსებობა და ზოგადად, გონივრული ვადების დაუცველობა;
- გენინსპექციის მუშაობის ხარვეზები - საჩივრების განხილვის ბუნდოვანი და არაობიექტური პროცედურა, საჩივრების დაკმაყოფილების დაბალი მაჩვენებელი, ასევე, გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა;
- ზოგადად, გასაჩივრების მექანიზმის გამოყენების უშედეგობა - ღია საჩივრების

მხოლოდ 52%-ზე იქნა მიღებული გენინსპექციის გადაწყვეტილება, ხოლო კონფიდენციალური საჩივრების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია (37%);

- გადაწყვეტილებების გადაუცემლობა პატიმრისთვის;
- გადაწყვეტილებაში გასაჩივრების მექანიზმის მიუთითებლობა.

ზემოაღნიშნულ კვლევაში წარმონიღი ხარვეზები ხუთი წლის თავზე კვლავ გამოუსწორებელია.

2019 წლის ნოემბერში საქართველოს სახალხო დამცველმა კიდევ ერთი სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა - „პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში“, რომელიც პენიტენციური სისტემის მესვეურთათვის ასევე არაერთ ყურადსაღებ ინფორმაციას და რეკომენდაციას შეიცავს გასაჩივრების მექანიზმის ნაკლოვანებებთან დაკავშირებით.

კერძოდ, სპეციალურ ანგარიშში მითითებულია დისციპლინური სამართალწარმოების ისეთი პრობლემები, როგორებიცაა მათი არამართლზომიერი გამოყენება, არსებული პრაქტიკის არაერთგვაროვნება, პატიმრების ჩაურთველობა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში და სხვა. ანგარიშის თანახმად, 2018 წლის მანძილზე სულ გამოყენებული იქნა 307 დისციპლინური ღონისძიება, ხოლო მათგან მხოლოდ 24 გასაჩივრდა. გასაჩივრების ასეთი დაბალი სტატისტიკა, სახალხო დამცველის აზრით, პატიმრების არაინფორმირებულობაა საერთოდ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან და დაკისრებულ სანქციასთან დაკავშირებით, რის შესახებაც, გარკვეულ შემთხვევებში, მხოლოდ პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის დროს იგებდნენ<sup>[1]</sup>.

საანგარიშო პერიოდში გასაჩივრების მექანიზმებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ნორმებში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა. რაც შეეხება პრაქტიკაში არსებულ მრავალრიცხოვან ხარვეზებს, მათი აღმოფხვრის თაობაზე მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშებში არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება.

---

<sup>[1]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში “პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში”, 2019 წ., გვ.23

## **აქტივობა 4.5.4.1. გასაჩივრების არსებული მექანიზმის ხარვეზების პერიოდული შესწავლა;**

### **პასუხისმგებელი უწყება:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### **ინდიკატორი:**

გასაჩივრებათა რაოდენობა შიდა მონიტორინგის ანგარიშების შესაბამისად

გასაჩივრების არსებულ მექანიზმებში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ პერიოდული



ანალიზის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2019-12-31

## შეფასება

უცნობია, ახორციელებს თუ არა სპეციალური პენიტენციური სამსახური გასაჩივრების არსებული მექანიზმების პერიოდულ შესწავლას. აღნიშნულ საკითხზე სამსახურს ინფორმაცია არ მოუწოდებია, ოფიციალურ ვებგვერდებსა და გამოქვეყნებულ ანგარიშებშიც გასაჩივრების მექანიზმების ხარვეზების შესწავლის თაობაზე ინფორმაცია არ მოიპოვება.

## აქტივობა 4.5.4.2. გასაჩივრების მექანიზმის შესწავლის შემდგომ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

გასაჩივრებათა რაოდენობა შიდა მონიტორინგის ანგარიშების შესაბამისად

გასაჩივრების არსებულ მექანიზმებში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ პერიოდული ანალიზის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2019-12-31

## შეფასება

საანგარიშო პერიოდში გასაჩივრების მექანიზმებთან დაკავშირებული ცვლილებები არ განხორციელებულა.

## ამოცანა 4.5.5. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო ვალდებულებების მიხედვით

ამოცანის შესრულების პროგრესი: 60%

ინდიკატორი: ბრალდებულ მსჯავრდებულთა პირადი ცხოვრების უფლების სავარაუდო დარღვევების შესახებ საჩივრების რაოდენობა შემცირებულია



ყველა პენიტენციური დაწესებულების დოკუმენტაცია დაარქივებულია.

შეფასება:

აღნიშნული ამოცანა საკმაოდ ფართო ხასიათისაა და მის შესრულებას მხოლოდ დაგეგმილი საქმიანობები ნაკლებად უზრუნველყოფს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის “ბ” ქვეპუნქტის თანახმად, ზოგიერთი სხვა სახის მონაცემებთან ერთად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს მიეკუთვნება „ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა“. აღნიშნული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აკრძალულია იმავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, გარდა სუბიექტის წერილობითი თანხმობისა, ან იმ შემთხვევებისა, როდესაც „ხდება მონაცემთა დამუშავება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით“. თუმცა ამ შემთხვევებშიც დაშვებულია მხოლოდ მონაცემების დამუშავება, ხოლო მათი გასაჯაროების ან მესამე პირისთვის გამჟღავნებისთვის მონაცემთა სუბიექტის თანხმობა აუცილებელია<sup>[1]</sup>.

ზემოაღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევები, რომლებშიც ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონიერი, მოიცავს პირთა საკმაოდ ფართო წრეს, როგორც სისტემის შიგნით, ისე მის გარეთ (მაგ. პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს წევრები), რომელთაც ხელი მიუწვდებათ პატიმრების პერსონალურ მონაცემებზე. შესაბამისად, ამ საკითხის სრულად მოსაცვლად, არა მხოლოდ სპეციალური პენიტენციური სამსახურის, არამედ სახელმწიფო ინსპექტორის აქტიური ძალისხმევაა საჭირო. ამ უკანასკნელის მხრიდან, უშუალოდ დაწესებულებებში არსებული დარღვევების თაობაზე მოქალაქეთა განცხადებების შესწავლის პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნულ პირთა მიერ მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კვლავ პრობლემად რჩება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 25 მაისის N90 ბრძანება „ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის გაცნობის სპეციალურად უფლებამოსილ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“, ასევე, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის ბრძანება N82 „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელთა თაობაზეც ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2016-17 წლებისთვის შესრულების შეფასებაშიც იყო საუბარი<sup>[2]</sup>.

---

<sup>[1]</sup> საქართველოს კანონი “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ”, მუხლი 6, პუნქტი 2, “ვ” ქვეპუნქტი

<sup>[2]</sup> დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი, “ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი”, 2018 წელი, ამოცანა 4.3.2-ის შესრულების

## აქტივობა 4.5.5.1. პერსონალური ინფორმაციის გასატაროებაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ამაღლება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

ბრალდებულ მსჯავრდებულთა პირადი ცხოვრების უფლების სავარაუდო დარღვევების შესახებ საინფორმაციო რაოდენობა შემცირებულია

ყველა პენიტენციური დაწესებულების დოკუმენტაცია დაარქივებულია.

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 20%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

ამ ეტაპზე უცნობია მოხდა თუ არა პერსონალური ინფორმაციის გასატაროებაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ამაღლება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მულტიდისციპლინარული გუნდების გადამზადების პროგრამა (იხ. ამოცანა 4.2.1-ის შესრულების შეფასება) აუცილებლად მოიცავდა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებსაც, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მონაცემების სხვადასხვა სახეობაზე პენიტენციური სისტემის პრაქტიკულად ყველა თანამშრომელს მეტ-ნაკლებად მიუწვდება ხელი. შესაბამისად, მხოლოდ ერთი სახის ტრენინგის მაგალითზე ვერ ვიმსჯელებთ, რამდენად აქტიური ნაბიჯები გადაიდგა ყველა მათგანის ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით.

სახელმწიფო ინსპექტორის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორმა სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავების 70-მდე პროცესი შეისწავლა. აქედან 10 შეეხებოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს/იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს. 10-დან 5 შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებული იქნა ჯარიმა<sup>[1]</sup>.

იმავე ანგარიშის თანახმად, „გასულ წლებთან შედარებით 2018 წელს საგრძნობლად შემცირებულია სამართალდამცავ სექტორში გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მომართვიანობა პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეომეთვალყურეობის გზით ან სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობისას მონაცემების დამუშავების ფაქტებთან მიმართებით, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს ამ სფეროში საკანონმდებლო ცვლილებებისა და უწყების მხრიდან გატარებული ზომების ეფექტზე.“<sup>[2]</sup>

საგულისხმოა, რომ 2017 წლის ანგარიშში სახელმწიფო ინსპექტორი ასევე აღნიშნავს

კლების ტენდენციას ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მომართვიანობასთან დაკავშირებით პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე ვიდეომეთვალყურეობის გზით და სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობისას მონაცემების დამუშავების ფაქტებთან მიმართებით, რაც, ინსპექტორის აზრით, „მიუთითებს ამ სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მხრიდან გატარებული ზომების დადებით ეფექტზე.“<sup>[8]</sup>

იმავე ანგარიშში მითითებულია პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემების თაობაზე:

- ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის თაობაზე მსჯავრდებულების არაინფორმირებულობა;<sup>[9]</sup>
- ტელეფონით სარგებლობისას არსებული პრობლემები;<sup>[9]</sup>

სამწუხაროდ, სახელმწიფო ინსპექტორის 2018 წლის ანგარიშში არაფერია ნათქვამი 2017 წლის ანგარიშში აღნიშნული პრობლემების მოგვარების თაობაზე. თუმცა, როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში ცხადყოფს, პერსონალურ ინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემები პენიტენციურ სისტემაში კვლავ უცვლელია.<sup>[6]</sup>

პრობლემის მოუგვარებლობას ადასტურებს სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის ანგარიშიც, რომელშიც საუბარია რამდენიმე საქმეზე, სადაც პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კუთხით ინსპექტორმა პენიტენციურ სამსახურს დარღვევა დაუდგინა:

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით შემოწმდა სპეციალური პენიტენციური სამსახური, რომელმაც სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა მსჯავრდებულ პირთა პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები. შედეგად დადგინდა, რომ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს არ ჰქონდა მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებელს დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და დაევალა გასაჯაროებული ინფორმაციის წაშლა ან დეპერსონალიზაცია;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში მასმედიის საშუალებებით გავრცელდა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი რამდენიმე მსჯავრდებულის საჩივარი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხებოდა სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის პრობლემებს. საჩივარს და მასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური: მან სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა განცხადება, სადაც, სხვა ინფორმაციასთან ერთად, საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა მონაცემები მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. დადგინდა დარღვევა, რადგან გასაჯაროვდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები. ამასთან, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა გასაჯაროებული ინფორმაციის წაშლა ან დეპერსონალიზაცია.

---

<sup>[1]</sup> – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ანგარიში “პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ”, 2018 წ., გვ. 62-63

<sup>[2]</sup> – ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, 2018 წ., გვ.62

<sup>[3]</sup> – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ანგარიში “პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ”, 2017 წ., გვ.38

<sup>[4]</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ანგარიში “პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ”, 2017 წელი, გვ.44-45

<sup>[5]</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ანგარიში “პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ”, 2017 წელი, გვ.52-53

<sup>[6]</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ.33, 48

## **აქტივობა 4.5.5.2. არქივის ცენტრალიზების ფარგლებში პენიტენციურ დაწესებულებათა დაარქივებული დოკუმენტაცია ეტაპობრივად გადაეცემა და დარჩენილი კანონის შესაბამის ვადაში განადგურება (ცენტრალიზების პროცესი დაწყებულია).**

### **პასუხისმგებელი უწყება:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### **ინდიკატორი:**

ბრალდებულ მსჯავრდებულთა პირადი ცხოვრების უფლების სავარაუდო დარღვევების შესახებ საჩივრების რაოდენობა შემცირებულია

ყველა პენიტენციური დაწესებულების დოკუმენტაცია დაარქივებულია.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2018-01-01

**ბოლო ვადა:** 2020-12-31

## **შეფასება**

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ინფორმაციით, ევროკავშირის სპეციალური ექსპერტის ჩართულობით, მიმდინარეობს პენიტენციური და პრობაციის ერთობლივი მონაცემთა ბაზის შექმნა, რომლის ფარგლებშიც დაარქივდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა მონაცემები და რომელიც გარდამავალი მენეჯმენტის დანერგვის ერთ-ერთი ელემენტი იქნება.

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივს გადაეცა სპეციალური პენიტენციური სამსახურის საუწყებო არქივში დაცული 1930-1945 წლების პერიოდის დოკუმენტაცია შემდგომი შენახვის, დაცვისა და გამოყენების მიზნით.<sup>[9]</sup>

---

<sup>[1]</sup> ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში, გვ.64

## ამოცანა 4.5.6. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა პენიტენციურ დაწესებულებებში

ამოცანის შესრულების პროგრესი: 60%

### შეფასება:

აღნიშნული ამოცანა და მის ქვეშ მოცემული ერთადერთი საქმიანობა წინამდებარე გეგმის ხარვეზიანობის საუკეთესო მაგალითია. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს ამოცანასთან, რომლის შესრულებაც გულისხმობს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარეობს/განხორციელდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა, რაც არათუ საანგარიშო პერიოდში, უახლოეს მომავალშიც კი საკმაოდ პრობლემურად გვესახება (იხ. ქვემოთ), მეორე მხრივ კი გვაქვს აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი ერთადერთი საქმიანობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში საკმაოდ წარმატებით განხორციელდა.

ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის 2018 წლის ვიზიტის ანგარიში საკმაოდ შემაშფოთებელ ინფორმაციას შეიცავს პენიტენციური დაწესებულებების მართვის მეთოდებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია N15 დაწესებულების ვითარება, რომელშიც, კომიტეტის დასკვნით, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს „ციხის არაფორმალური იერარქიის გავლენა.“<sup>[1]</sup> კიდევ უფრო საგანგაშოა ის ფაქტი, რომ თავად დაწესებულების ადმინისტრაციის აღიარებით, ისინი იძულებულნი არიან, წესრიგისა და უსაფრთხოების კუთხით უფლებამოსილებები „ძლიერ პატიმრებთან“ გაინაწილონ.

აღნიშნული ძალიან შორს არის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომისგან, ვინაიდან არაფორმალური მმართველობა, რომელიც არა მხოლოდ N15 დაწესებულების პრობლემაა, პატიმრებს შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის არსებობის პირდაპირი მანიფესტებელია, ხოლო ამგვარი მმართველობის არსებობა ეჭვგარეშე მიანიშნებს ციხის მართვის კუთხით არსებულ სერიოზულ პრობლემებზე, რაც არაორაზროვნად არის მითითებული ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის 2018 წლის ვიზიტის ამსახველ ანგარიშშიც.<sup>[2]</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნული, ისევე, როგორც ადამიანური რესურსების არაეფექტური მართვა, რაც დატრენინგებული პერსონალის გადინებაში გამოიხატება, ეჭვქვეშ აყენებს იმ პოზიტიურ ღონისძიებებსაც, რაც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა. კერძოდ, ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice მხარდაჭერით მომზადდა სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე. ციხის მართვის თანამედროვე მეთოდებსა და პატიმრების უფლებების კუთხით აქტუალურ თემებზე დატრენინგდნენ ყველა დაწესებულების მენეჯერები.

---

<sup>[1]</sup> წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 51

<sup>[2]</sup> წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის



## აქტივობა 4.5.6.1. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე მაღალი და შუა რგოლის მენეჯერების გადამზადება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია აქტივობის შესრულების პროგრესი: 60%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2019-12-31

## შეფასება

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice აქტიური მხარდაჭერით, საანგარიშო პერიოდში, ადამიანის უფლებებში, ციხის მართვის თანამედროვე მეთოდებსა და დინამიკური უსაფრთხოების პრინციპებში გადამზადდნენ პენიტენციური დაწესებულებების დირექტორები, დირექტორის მოადგილეები და რეჟიმის თანამშრომლები. პროექტის ფეისბუქ გვერდის ინფორმაციით, აღნიშნული ტრენინგი ჩატარდა 2018-2019 წელს და მასში მონაწილეობა მიიღო 15 პენიტენციური დაწესებულების 82-მა მენეჯერმა<sup>[1]</sup>.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 15 დაწესებულების გადამზადებული დირექტორებიდან შვიდმა უკვე დატოვა თანამდებობები, რაც გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობას თავისთავად ეჭვქვეშ აყენებს.

<sup>[1]</sup><https://www.facebook.com/EU4JusticeCorrections/photos/a.570554886476080/1050052295193001/?type=1&theater>